ევროკავშირი
საქართველოსთვის

დანართი #1ბ – ბიზნეს საგრანტო კონკურსის განაცხადის ფორმა
არსებული ბიზნესის გაფართოების შემთხვევაში

საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსი

პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში

საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსი ადგილობრივი მეწარმეობის მხარდასაჭერად
IRC-ENPARD IV – #004

საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2025 წლის 10 თებერვალი, 23:59 სთ.

განაცხადების წარმოდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად, ელ. ფოსტაზე: grants@irc.ge

განაცხადის შევსებისას ყურადღება მიაქციეთ, რომ მომზადებული გქონდეთ განაცხადის სამივე ნაწილი: **I. ზოგადი ინფორმაცია, II. ბიზნეს გეგმა და III. განმცხადებლის დეკლარაცია.**

დათქმა

ეს საგრანტო კონკურსის დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (SGRC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

მონაცემთა დაცვის შესახებ

განაცხადში მოცემული თქვენი პერსონალური მონაცემები (საიდენტიფიკაციო მონაცემები, საკონტაქტო მონაცემები, CV-ები და ა.შ.) დამუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მონაცემები დამუშავდება მხოლოდ კონკურსის პირობებთან განაცხადის შესაბამისობის დადგენისა და პროექტის ანგარიშგების მიზნებისათვის. განაცხადში მითითებული მონაცემები შეიძლება გადაეცეს დონორ ორგანიზაციას – ანგარიშგების მიზნებისთვის, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით – შესაბამის მაკონტროლებელ ორგანიზაციებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით და თქვენი უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მოგვწეროთ a.kapanadze@irc.ge.

შინაარსი

I. ზოგადი ინფორმაცია....3

1. ბიზნეს პროექტის მოკლე მიმოხილვა....3
2. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ....5
4. განმცხადებლის გამოცდილება ბიზნესის მართვისა და წარმოდგენილი ბიზნეს იდეის სფეროში....6
5. რა იცვლება არსებულ ბიზნესში საგრანტო განაცხადში წარმოდგენილი იდეის განხორციელების შედეგად?....6
6. ბიზნესის პროექტის მიერ შემოთავაზებული სიახლე/ინოვაცია....7
7. ბიზნეს პროექტის განხორციელების გეგმა....7
8. ბიზნეს პროექტის განხორციელების რისკები....7

II. ბიზნეს გეგმა....9

III. განმცხადებლის დეკლარაცია....13

I. ზოგადი ინფორმაცია

1. ბიზნეს პროექტის მოკლე მიმოხილვა

ბიზნეს პროექტის სახელწოდება	
ბიზნეს პროექტის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 100 სიტყვა)	
მონიშნეთ რომელ პრიორიტეტულ მიმართულებაში ჯდება თქვენს მიერ წარმოდგენილი ბიზნეს იდეა[1]	**ტურიზმის სექტორი** ☐ ეკო, გასტრონომიული, სათავგადასავლო, ღვინის, კულტურული ტურიზმის განვითარება ☐ მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნა და განვითარება **სოფლის მეურნეობის სექტორი** ☐ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების განვითარება ☐ ორგანული და ბიო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია ☐ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაცია და ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის გამოყენება ☐ ინოვაციური აგრო სტარტაპი **მცირე და საშუალო ბიზნესის დივერსიფიკაცია** ☐ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის გარდა სხვა პერსპექტიული და ინოვაციური ბიზნესების განვითარება
ბიზნეს პროექტის განხორციელების ადგილი	
უძრავი ქონების მისამართი (საკადასტრო კოდის მითითებით), სადაც მოხდება ბიზნეს პროექტის განხორციელება	
უძრავი ქონება, სადაც მოხდება ბიზნეს პროექტის განხორციელება წარმოადგენს	☐ განმცხადებლის საკუთრებას ☐ განმცხადებლის თანასაკუთრებას

[1] გთხოვთ, მონიშნოთ საკონკურსო განცხადებაში მოცემული პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი მაინც

	☐ იჯარით/აღნაგობით ან სარგებლობის სხვა უფლებით მქონე უძრავ ქონებას, და ეს უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ☐ მესამე პირის ქონებას, რომლის ბიზნეს პროექტის განხორციელებისთვის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი წინასწარი ნოტარიული შეთანხმება არსებობს ☐ სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)
სახელწოდება, რომელსაც ბიზნესი იყენებს/გამოიყენებს საქმიანობისთვის	
ბიზნეს პროექტის განხორციელების ვადა[2]	
პროექტის განხორციელების მთლიანი ღირებულება ევროში	
მოთხოვნილი საგრანტო თანხა ევროში	
განმცხადებლის ფულადი თანამონაწილეობა ევროში	

[2] ბიზნეს პროექტის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს მაქსიმუმ 8 თვეში

2. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

განმცხადებელი წარმოადგენს	☐ ფიზიკურ პირს ☐ იურიდიულ პირს
განმცხადებლის სახელი, გვარი / იურიდიული პირის სახელწოდება	
განმცხადებლის პირადი ნომერი (11-ნიშნა) / საიდენტიფიკაციო კოდი	
განმცხადებლის იურიდიული მისამართი (ქალაქი/დასახლება, ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი)	
განმცხადებლის ფაქტიური მისამართი (ქალაქი/დასახლება, ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი)	
განმცხადებლის კავშირი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან	
განმცხადებლის საკონტაქტო ტელეფონი[3]	
განმცხადებლის ალტერნატიური საკონტაქტო ტელეფონი	
განმცხადებლის ელ. ფოსტა	
იურიდიული პირის შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენია	
განაცხადის წარმოდგენაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი	
უფლებამოსილი პირის თანამდებობა	
უფლებამოსილი პირის საკონტაქტო ტელეფონი	

[3] განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით უნდა ეცნობოს ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრს ელ. ფოსტით: grants@irc.ge. საგნის ველში მიუთითეთ საგრანტო კონკურსის ნომერი. თუ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრისთვის საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ არ გახდება ცნობილი დროულად და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი ვერ შეძლებს განმცხადებელთან დაკავშირებას განაცხადთან ან კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებით, განაცხადი შესაძლოა, არ იყოს განხილული.

უფლებამოსილი პირის ელ. ფოსტა	

3. **განმცხადებლის გამოცდილება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ**
   (აღწერეთ, უკანასკნელი 3 წლის მანძილზე მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საგრანტო კონკურსში მიზნობრიობის, დამფინანსებლისა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შედეგის მითითებით)

4. **განმცხადებლის გამოცდილება ბიზნესის მართვისა და წარმოდგენილი ბიზნეს იდეის სფეროში** (არაუმეტეს 250 სიტყვა)

5. **რა იცვლება არსებულ ბიზნესში საგრანტო განაცხადში წარმოდგენილი იდეის განხორციელების შედეგად?**
   (არაუმეტეს 200 სიტყვა)
   (აღწერეთ, რას საქმიანობს ბიზნესი ამჟამად და საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი იდეით როგორ მოხდება არსებული ბიზნესის საქმიანობის გაფართოება/განვითარება)

6. **ბიზნესის პროექტის მიერ შემოთავაზებული სიახლე/ინოვაცია**
   (არაუმეტეს 150 სიტყვა)
   (აღწერეთ რა სიახლეს/ინოვაციას ითვალისწინებს თქვენი ბიზნეს პროექტი ადგილობრივ ბაზარზე ან/და ქვეყნის მასშტაბით)

7. ბიზნეს პროექტის განხორციელების გეგმა

შეავსეთ ქვევით მოცემული ცხრილი და დაამატეთ/გამოაკელით ველები საჭიროებისამებრ.

თვე აქტივობა	1	2	3	4	5	6	7	8
ნიმუში – X ტექნიკის შესყიდვის ხელსეკრულების გაფორმება და თანხის გადარიცხვა								
ნიმუში – მომწოდებლისგან X ტექნიკის მიღება და მონტაჟი								

8. ბიზნეს პროექტის განხორციელების რისკები

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და დაამატეთ/გამოაკელით ველები საჭიროებისამებრ.

რისკის მოკლე აღწერა	რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ რისკმა თქვენს ბიზნესზე	რას მოიმოქმედებთ რისკის შესამცირებლად

II. ბიზნეს გეგმა

ბიზნეს გეგმისთვის მოცემულია სავალდებულო შინაარსობრივი მოთხოვნები (ქვეთავები), რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ. წერის პროცესში გაქვთ თავისუფლება, როგორ წარმოადგენთ მოთხოვნილ ინფორმაციას.

ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს მინიმუმ ქვემოთ მოცემულ ქვეთავებს შესაბამისი დეტალური ინფორმაციით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს შემფასებლებს, გაიგონ თქვენს მიერ წარმოდგენილი ბიზნეს იდეა და შეაფასონ მისი პერსპექტივები.

განმცხადებელს უფლება აქვს შეხედულებისამებრ დაამატოს სხვა ქვეთავებიც.

საჭიროებისა და შესაძლებლობების შემთხვევაში, თან დაურთეთ ფოტო მასალა/ბმულები, რომლებიც დაეხმარება შემფასებლებს, უკეთესი წარმოდგენა შეექმნათ თქვენს ბიზნეს იდეაზე.

ბიზნეს გაგმის სავალდებულო ქვეთავები:

1. **<u>შესავალი</u>** (არაუმეტეს 1.5 გვერდი) – სადაც მოცემული იქნება შემოთავაზებული ბიზნეს იდეის მოკლე შეჯამება და არსი. ამ ნაწილის წაკითხვისას შემფასებლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მარტივად გაიგონ: რას აკეთებს/აწარმოებს მოქმედი ბიზნესი და რა მიმართულებით იგეგმება გაფართოება? როგორ აკეთებს და გააკეთებს თქვენი ბიზნესი იმას, რის გაკეთებასაც აპირებს? ვისთვის არის ის გამიზნული და ვისთვის იქნება გამიზნული (თუ გაფართოება/განვითარება მოიაზრებს ახალი ბაზარზე გასვლას/პროდუქციის ან/და სერვისის წარმოებას)? რა გამოგარჩევთ კონკურენტებისგან? რა გაძლევთ იმის ფიქრის საშუალებას, რომ გაფართოების/განვითარების იდეა იქნება წარმატებული?

2. **<u>დამფუძნებლების/იდეის ავტორების შესახებ</u>** – ამ ქვეთავის დანიშნულებაა შემფასებლებს გააცნოს ბიზნესის დამფუძნებლები – ყველა დამფუძნებლის (იდეის ავტორ(ებ)ის) გამოცდილება, განათლება, კვალიფიკაცია, ინტერესები, უნარები და მიზანდასახულობა, ბიზნეს იდეა გადააქციონ წარმატებულ ბიზნესად.

3. **<u>ბიზნესის ისტორია</u>** – ამ ქვეთავის დანიშნულებაა შემფასებელს უკეთ გააცნოს როგორ მოვიდა ის ბიზნესი დღემდე, რომლის გაფართოებას/განვითარებას გეგმავთ.

4. **<u>პროდუქტი/სერვისი</u>** – ამ ქვეთავის დანიშნულებაა, მკითხველს აუხსნათ უკვე რას აწარმოებს და ყიდის ბიზნესი, და რა დაემატება/გაუმჯობესდება ბიზნესის გაფართოების/განვითარების შედეგად. წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა პროდუქტი/სერვისი ინდივიდუალურად სახეობებთან ერთად (მაგალითად: თუ ყიდით

რაიმე პროდუქტს და მიუხედავად შიგთავსისა, პროდუქტი განსხვავდება ზომით, ფორმით ან/და სხვა რაიმე მახასიათებლებით, ყველა სახეობა ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული). ასევე, მიუთითეთ და აღწერეთ, ახასიათებს თუ არა თქვენს პროდუქტებს/სერვისებს სეზონურობა (წარმოება-გაყიდვის კუთხით) და რა არის და იქნება თქვენი ყოველთვიური წარმადობა - რამდენი ეთრეული პროდუქტის/სერვისის წარმოებას შეძლებთ ყოველთვიურად.

5. **<u>მომხმარებლები</u>** - იმისთვის, რომ ბიზნესმა მიაღწიოს წარმატებას, უნდა გესმოდეთ ვინ არიან პოტენციური მომხმარებლები (ვინ იყიდის თქვენს პროდუქციას). ამ ქვეთავში მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება კონკრეტულად აღწეროთ თქვენი არსებული და სამიზნე მომხმარებლები (მაგალითად: თუ მომხმარებლები არიან ფიზიკური პირები, მათი ასაკი, სქესი, შემოსავალი, საცხოვრებელი ადგილი, ინტერესები, ქცევები და ყველა სხვა მახასიათებელი, რაც მნიშვნელოვანია თქვენს პროდუქტთან, სერვისთან მიმართებით). აღწერეთ, რა განაპირობებს არსებული და პოტენციური მომხმარებლების მიერ თქვენი პროდუქტის/სერვისის ყიდვას, საჭიროება, სურვილი, თუ ორივე ერთად - შესაბამის დასაბუთებასთან ერთად.

6. **<u>ბაზრის კვლევის შედეგები</u>** - ამ ქვეთავში თქვენ უნდა აჩვენეთ რამდენია ისეთი მომხმარებელი, რომელიც აღწერეთ მე-5 ქვეთავში, როგორია მათი ქცევები და ამ მომხმარებელთა რა წილი შეიძლება გახდეს თქვენი პოტენციური მომხმარებელი, შესაბამისი დასაბუთებით. ამ ნაწილის წაკითხვისას შემფასებლებმა უნდა შეძლონ უპასუხონ შემდეგ კითხვებს: როგორია ბაზარი? როგორ იქცევა ბაზარი? რას მოელიან მომხმარებლები? რა მასშტაბისაა ბაზარი? ბაზრის რა ნაწილი შეიძლება გახდეს თქვენი მომხმარებელი?

7. **<u>მარკეტინგის სტრატეგია</u>** - ამ ქვეთავში თქვენ უნდა გადმოსცეთ, როგორ იგებენ ან/და გაიგებენ თქვენი პოტენციური მომხმარებლები თქვენი არსებობის შესახებ, რა არხებს გამოიყენებთ ამისთვის, როგორ მოანდომებთ მათ თქვენი პროდუქტის/სერვისის ყიდვას და როგორ გაიგებენ, სად უნდა იყიდონ თქვენი პროდუქტი/სერვისი.

8. **<u>კონკურენტების ანალიზი</u>** - ამ ქვეთავში თქვენ უნდა გადმოსცეთ, რამდენად კარგად გაქვთ გააზრებული გარემო, რომელშიც თქვენი ბიზნესი საქმიანობს და მოუწევს კონკურენცია გაფართოების/განვითარების შემთხვევაში, და როგორ ედრება თქვენი ბიზნესი კონკურენტებს. მნიშვნელოვანია, წარმოადგინოთ ყველა ძირითადი კონკურენტი, მათი პროდუქტების, მდებარეობის, ფასების, ზომისა და ძლიერი/სუსტი მხარეების მითითებით.

9. **<u>ბიზნესის ოპერირება და ლოჯისტიკა</u>** - ამ ქვეთავში თქვენ უნდა გადმოსცეთ, როგორ იწარმოება თქვენი პროდუქტი/სერვისი - არსებული და დაგეგმილი პროცესი, როგორ იღებენ/მიიღებენ მომხმარებლები თქვენს პროდუქტებს/სერვისებს და თქვენ როგორ იღებთ/მიიღებთ მათ მიერ გადახდილ თანხას. მნიშვნელოვანია, დეტალურად

იყოს გადმოცემული შემდეგი ელემენტები: (ა) **წარმოება** – როგორ იწარმოება თქვენი პროდუქტი/სერვისი, (ბ) **მიწოდება** – როგორ და სად ხდება/მოხდება პროდუქტის/სერვისის მიწოდება მომხმარებლისთვის, (გ) **გადახდა** – როდის და როგორ იხდიან მომხმარებლები პროდუქტის/სერვისის ღირებულებას, (დ) **მომწოდებლები** – ვინ არიან/იქნებიან თქვენი ძირითადი მომწოდებლები (ვისგან იყიდით პროდუქტის/სერვისის წარმოება-მიწოდებისთვის საჭირო პროდუქტებსა და სერვისებს და რისკები, რომელიც მომწოდებლებთან არის დაკავშირებული), (ე) **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** – რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაქვთ ბიზნესისთვის ამჟამად, როგორ აპირებთ მის განვითარებას/გამოყენებას დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში;

10. **მენეჯმენტი და ადამიანური რესურსები** – ამ ქვეთავში უნდა აღწეროთ თქვენი ბიზნესის ყველა საკვანძო როლი, პირები ვინც ამ როლს ასრულებენ/შეასრულებენ შესაბამისი გამოცდილებითა და ინტერესით, თქვენი ბიზნესის წარმატებაში. ასევე, უნდა წარმოადგინოთ ყველა როლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დასაქმებული არის/იქნება თქვენს ბიზნესში დაფინანსების მოპოვებიდან პირველი ორი წლის მანძილზე (მაგალითად: დირექტორი – 1 ადამიანი, ბუღალტერი 1 ადამიანი, მთავარი კვების ტექნოლოგი – 1 ადამიანი, მანქანა-დანადგარების ოპერატორი – 1 ადამიანი, ნედლეულის დამმუშავებელი – 2 ადამიანი, და ა.შ.); ეს ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ორივე წლისთვის, თუ რაოდენობა განსხვავდება წლების მიხედვით.

11. **ღირებულება და ფასი** – ამ ქვეთავში უნდა გადმოსცეთ რა გიჯდებათ თითოეული პროდუქტის/სერვისის წარმოება-მიწოდება (კატეგორიების მიხედვით) და რაიმე ცვლილება თუ იქნება გაფართოება/განვითარების შემთხვევაში, ისევე როგორც რა არის პროდუქტის/სერვისის ამჟამინდელი გასაყიდი ფასი და რა იქნება განვითარება/გაფართოების შემდეგ. აღწერილი უნდა იყოს რის საფუძველზეა ეს ღირებულება და ფასები დაანგარიშებული.

12. **ფინანსური პროგნოზები** – ამ ქვეთავში უნდა წარმოადგინოთ თქვენი ბიზნესის ფინანსური პროგნოზები მინიმუმ შემდეგი ოთხი მიმართულებით: **(1) გაყიდვების პროგნოზები** – რა ოდენობისა და თანხის პროდუქტების/სერვისების გაყიდვას ელოდებით განვითარება/გაფართოების შედეგად; გაყიდვების პროგნოზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილში და მოიცავდეს მინიმუმ 2 (ორ) წელს გაფართოება/განვითარების შემდეგ). პირველი წლის გაყიდვების პროგნოზი უნდა იყოს წარმოდგენილი ყოველთვიურად, ხოლო მეორე წლის – წლიური მაჩვენებლები; **(2) მოგება-ზარალის მაჩვენებლები** – უნდა მომზადდეს საპროგნოზო მოგება-ზარალის უწყისი ორი წლისთვის, სადაც მოცემული იქნება გაყიდვებიდან შემოსული შემოსავლები და ყველა ხარჯი, რომელსაც ბიზნესი გაწევს ამავე პერიოდში (მოიცავს როგორც წარმოება-რეალიზებასთან, ასევე ბიზნესის არსებობა-მართვასთან და გადასახადებთან დაკავშირებულ ხარჯებს); **(3) საპროგნოზო საბალანსე უწყისი** – უნდა მომზადდეს მინიმუმ ორი წლისთვის

(ოპერირების დაწყებიდან პირველი და მეორე წლის ბოლოსთვის) და მოცემული უნდა იყოს ყველა აქტივი (ქონება), რასაც ბიზნესი ფლობს და ვალდებულებები & კაპიტალი – რა არის ბიზნესის აქტივების წყარო; **(4) ნულოვანი მოგების წერტილის ანალიზი** – რამდენი/რა ღირებულების პროდუქტი სერვისი უნდა გაყიდოთ წლის განმავლობაში, რომ თქვენი ბიზნესი ნულოვან მოგებაზე იყოს (არც მოგებაში და არც ზარალში).

13. **არსებული ფინანსური მაჩვენებლები**[4] – ამ ქვეთავში უნდა წარმოადგინოთ იმ ბიზნესის წინა წლების მონაცემები, რომლის გაფართოებას/განვითარებას გეგმავთ. გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი მონაცემები 2022-2023-2024 წლებისთვის: (1) წლიური ბრუნვა, (2) წლიური მოგება/ზარალი, (3) აქტივები/ვალდებულებები/კაპიტალი 2022-2023-2024 წლების 31 დეკემბრის მონაცემებით. (ასეთის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაბამისი წლების მოგება-ზარალის უწყისები და საბალანსე უწყისი).

[4] კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია, დამატებით მოგეთხოვოთ წარმოდგენილი მონაცემების დოკუმენტური დადასტურება.

III. განმცხადებლის დეკლარაცია

<u>ივსება ფიზიკური პირი განმცხადებლ(ებ)ის შემთხვევაში</u>

მე (ჩვენ), (განმცხადებლ(ებ)ის სახელი/გვარი) ხელმოწერით ვადასტურებთ განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს მიერ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია, განაცხადი არ იქნას განხილული ან/და განაცხადთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

სახელი/გვარი:

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

ხელმოწერის ადგილი:

<u>ივსება იურიდიული პირი განმცხადებლის შემთხვევაში</u>

მე, (უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი) წარმოვადგენ (იურიდიული პირის დასახელება და სამართლებრივი ფორმა) -ის განაცხადზე წარმოდგენილ უფლებამოსილ პირს. ვაცნობიერებთ, რომ ჩემს მიერ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია, განაცხადი არ იქნას განხილული ან/და განაცხადთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

უფლებამოსილი პირის სახელი/გვარი:

უფლებამოსილი პირის თანამდებობა:

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

ხელმოწერის ადგილი: